ნიკოლოზ მწარიაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ბიზნესის სკოლა
იშტეს უნივერსიტეტი ლისაბონში, პორტუგალია

ლისაბონში გატარებული სემესტრი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული თავგადასავალი იყო. ISCTE-ში სწავლა ძალიან საინტერესო და პროდუქტიული გამოცდილება აღმოჩნდა. უნივერსიტეტში მყავდა შესანიშნავი პროფესორები, რომელთა ლექციებიც ყოველთვის ინტერაქციული, საინტერესო და ახალი პერსპექტივებით სავსე იყო. სწორედ ეს გარემო მაძლევდა სტიმულს, სხვაგვარად მეფიქრა და თეორია პრაქტიკასთან დამეკავშირებინა.

გარდა ამისა, ლისაბონი დღეს Web3-ისა და ციფრული ინოვაციების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჰაბია. სწორედ აქ შევძელი სხვადასხვა კონფერენციაზე დასწრება და ბევრი საინტერესო ადამიანის გაცნობა. ჩემთვის ეს განსაკუთრებული გამოცდილება იყო, რადგან ამ სფეროში დიდი ხანია ვარ და უკვე ვმუშაობ კიდეც. ასეთმა გარემომ მომცა როგორც ახალი ცოდნა, ასევე ღირებული კონტაქტები.

გაცვლითი პროგრამა ჩემთვის ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მხოლოდ აკადემიური ცხოვრება. პორტუგალია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია სერფინგისთვის და პირველად ის აქ ვცადე, რაც დაუვიწყარი იყო. ასევე, Erasmus Lisbon-ის მხარდაჭერით მუდმივად მქონდა შესაძლებლობა გამეცნო ქვეყანა და შემეგრძნო სტუდენტური ცხოვრება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია Erasmus-ის სტუდენტური საზოგადოება. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტები ქმნიდნენ მრავალფეროვან გარემოს. ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვდი ამ სემესტრში, მაგრამ განსაკუთრებით სამ მათგანს გამოვარჩევ, რომლებიც ძალიან მალე ჩემი ახლო მეგობრები გახდნენ. ოთხივე სხვადასხვა ქვეყნიდან და კულტურიდან ვართ, თუმცა ეს განსხვავებები მხოლოდ ამდიდრებს ჩვენს მეგობრობას. მთელი სემესტრი ერთად ვმოგზაურობდით, ვეცნობოდით პორტუგალიის სილამაზეს და ერთმანეთს ჩვენს კულტურებს ვუზიარებდით. დარწმუნებული ვარ, ეს მეგობრობა მხოლოდ ლისაბონით არ დასრულდება და წინ მეტი საერთო გადასავალი გველის!

პორტუგალიის ოკეანე მთელი სემესტრის განმავლობაში განსაკუთრებულ შესაძლებლობებს მაძლევდა, როგორიც არის იახტით ატლანტის ოკეანეში ცურვა და

პორტუგალიის სანაპიროს გასწვრივ ულამაზესი ხედების ნახვა. ბენაგილის გამოქვაბული და უამრავი სხვა ადგილი დღემდე თვალწინ მიდგას და სწორედ ოკეანემ მისცა ამ გამოცდილებას დაუვიწყარი ემოციები.

ასევე აღსანიშნავია ბუნება. პორტუგალია არის მწვანე და შთამბეჭდავი ქვეყანა, სავსე ტყიანი მთებითა და პეიზაჟებით. ყოველი გასვლა ქალაქის გარეთ იყო სიმშვიდით, ჰარმონიითა და შთაგონებით სავსე.

ახლა, როდესაც ამ ყველაფერს ვიხსენებ, შემიძლია ვთქვა, რომ გაცვლითი პროგრამა ჩემთვის არა მხოლოდ სწავლის შესაძლებლობა იყო, არამედ ცხოვრებისეული თავგადასავალი, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა. ვინც კი ჯერ კიდე ფიქრობს მონაწილეობაზე, დარწმუნებით გეტყვით: ნამდვილად ღირს!